



**საერთაშორისო მათემატიკური კონკურსი
„კენგურუ - 2016“
II კლასი**




ჩემო მეგობარო, მოგესალმებით კეთილი სურვილებით და გაცნობებით, რომ შენ წინაშეა საერთაშორისო მათემატიკური კონკურსი „კენგურუ-2016“-ის ტესტი, რომელიც 24 ამოცანისაგან შედგება; 1-დან 8-ის ჩათვლით ამოცანები 3 ქულით ფასდება, 9-დან 16-ის ჩათვლით – 4 ქულით, 17-დან 24-ის ჩათვლით კი – 5 ქულით. გამარჯვებისათვის საჭირო ქულა არის **96!** ტესტის სწორი პასუხები 3 მაისს გამოქვეყნდება ინტერნეტში, ჩვენს ვებ გვერდზე; კონკურსის შედეგებსაც იქვე გაეცნობი ივნისის დასაწყისში, ხოლო სერტიფიკატები და საჩუქრები გაიცემა 15 ივნისამდე.

მაშ, ასე: ითამაშე ყურადღებით – შენ მხოლოდ 1 საათი და 15 წუთი გაქვს!

სამაქულიანი ამოცანები

1. რამდენი თოკია სურათზე?

- A) 2 B) 3 C) 4 D) 5 E) 6




2. დაფაზე დაწერილი ასოებიდან რომელი არ არის სიტყვა “KOALA”-ში?

- A) R B) L C) K D) N E) O



3. მაიკლმა ასანთის ღერებისაგან სახლი ააგო(იხილე სურათი). რამდენი ასანთის ღერი გამოიყენა მან?

- A) 19 B) 18 C) 17 D) 15 E) 13




4. ჯადოსნურ ტბაში არის მხოლოდ ორი ზღვის ცხენი, ერთი ზღვის ვარსკვლავი და სამი კუ. მოგვიანებით მათ შეუერთდნენ ხუთი ზღვის ცხენი, სამი ზღვის ვარსკვლავი და ოთხი კუ. სულ რამდენი ზღვის ცხოველი შეიკრიბა მღვიმეში?

- A) 6 B) 9 C) 12 D) 15 E) 18

5. ლაბირინთის რომელ ნაწილში მივალწევთ, თუ სვლას 0 წერტილიდან დავიწყებთ?

- A) A B) B C) C D) D E) E




6. მაიკლმა საინფორმაციო ბროშურები უნდა დაარიგოს ყველა სახლში – 25-ე ნომრიდან 57-ს ჩათვლით. რამდენმა სახლმა მიიღო ბროშურა?

- A) 31 B) 32 C) 33 D) 34 E) 35

7. ჯონის დაბადების დღეზე 10 ამხანაგი ეწვია. მათ შორის 6 გოგონა იყო. რამდენი ბიჭი მისულა სტუმრად ჯონის დაბადების დღეზე?


- A) 4 B) 5 C) 6 D) 7 E) 8

8. ქვემოთ ნაჩვენები ფიგურებიდან რომელი შეიცავს 10 კუბიკს?





ოთხკუდიანი ამოცანები

9. სოფიკო კიბის საფეხურებზე გარკვეული წესით აწვობს ბურთულებს, როგორც სურათზეა ნაჩვენები. ქვემოთ მოცემული პასუხებიდან რომელი შეესაბამება „?“ ნიშნით აღნიშნულ კიბის საფეხურს?



10. ქათამი თეთრ და მოყავისფრო კვერცხებს დებს. ლიზამ სურათზე ნაჩვენებ ყუთში ისე ჩააწყო 6 ცალი კვერცხი, რომ არც ერთი მოყავისფრო კვერცხი ერთმანეთის გვერდით არ მოხვდა. ყველაზე მეტი, რამდენი მოყავისფრო კვერცხის ჩადება შეუძლია ლიზას ყუთში?



- A) 1 B) 2 C) 3 D) 4 E) 5


11. ბებია გავიდა ეზოში მოუხმო კატასა და ყველა ქათამს. ყველა 20 ფეხი გაიქცა ბებოსკენ. რამდენი ქათამი ჰყავს ბებიას?

- A) 11 B) 9 C) 8 D) 6 E) 4

12. კანგა დღეს 1 წლისა და 3 თვის არის. რამდენ თვეში იქნება კანგა 2 წლისა? (შენიშვნა: “კანგა” არის კენგურუს შვილი.)

- A) 3 B) 5 C) 7 D) 8 E) 9

13. პატარა რუს სახლის ყველა ოთახი რომელიმე მოსაზღვრე ოთახს კართით უკავშირდება (იხილე სურათი). პატარა რუს სურს, A ოთახიდან შევიდეს B ოთახში. კარების რა უმცირესი რაოდენობა უნდა გაიაროს მან?




- A) 3 B) 4 C) 5 D) 6 E) 7

14. ივანესა და პავლეს წლოვანებათა ჯამი უდრის 12-ს. რა იქნება მათი წლოვანებათა ჯამი 4 წლის შემდეგ?

- A) 16 B) 17 C) 18 D) 19 E) 20

15. მერი გზაზე მიდის და მხოლოდ იმ ასოებს კითხულობს, რომლებიც გზის მარჯვენა მხარეს შეხვდება(იხილე სურათი). ამრიგად, მერი მოძრაობს წერტილი 1-დან წერტილი 2-საკენ, რა სიტყვა მიიღებს იგი საბოლოოდ?




- A) KNAO B) KNGO C) KNR D) AGRO E) KAO

16. შენობაში 10 ოთახია, ყოველ ოთახში არის ორი ფანჯარა და ერთი ნათურა. გუშინ, საღამოს, 18 ფანჯარა იყო განათებული. რამდენ ოთახში იყო შუქი ანთებული?


- A) 2 B) 3 C) 4 D) 5 E) 6

17. პასუხებში მოცემული ფიგურებიდან რომლის შედგენა არ შეიძლება ამ ფიგურით?




- (A) (B) (C) (D) (E)

18. პასუხებში მოცემული ფილებიდან რომელი უნდა ჩავლოთ ამოცანაში მოცემულ ფიგურის ცენტრში, რომ სწორი ნახატი მივიღოთ(ანუ ფერები გაგრძელდეს სწორად)?




- A) B) C) D) E)

19. ემილიამ ფიგურის ასაგებად გამოიყენა ექვსი პატარა კვადრატი. ყველაზე მცირე, რამდენი ერთნაირი პატარა კვადრატი უნდა დაამატოს მან, რომ მიიღოს ერთი დიდი კვადრატი?



- A) 6 B) 8 C) 9 D) 10 E) 12

20. 5 ბელურა ზის მავთულზე(იხილე სურათი). ზოგიერთი მათგანი იყურება მარცხნივ, დანარჩენები კი – მარჯვნივ. ყოველი ბელურა მხოლოდ ერთხელ უჭიკჭიკებს იმ ბელურას, რომელიც მისკენ იყურება. მაგალითად მესამე ბელურამ სამჯერ დაიჭიკჭიკა. სულ რამდენჯერ დაიჭიკჭიკა ყველა ბელურამ ერთად?




- A) 6 B) 8 C) 9 D) 10 E) 12



21. პასუხებში მოცემულ რომელი ფიგურის მიღება შეიძლება თუ





ამოცანის პირობაში მოცემულ ხუთივე ფიგურას გამოიყენებთ?



22. სურათზე თქვენ ხედავთ 5 ჭიამაიას. თითოეული მათგანი ზის თავის ყვავილზე. მათი ადგილები განსაზღვრულია შემდეგნაირად: მათს ფრთებზე არსებული წერტილების სხვაობა უდრის თავის ყვავილზე ფოთლების რაოდენობას, ხოლო ფრთებზე არსებული წერტილების ჯამი არის თავის ყვავილის ფურცლების რაოდენობისა. ქვემოთ ნაჩვენებია ყვავილებიდან, რომელს არ ჰყავს შესაბამისი ჭიამაია?



23. კუბის ყოველი ექვსი წახნაგიდან ერთ-ერთზე დახატულია: ♣, ♦, ♥, ♠, ■ და O სიმბოლოებიდან რომელიმე ერთი; ყოველ წახნაგზე განსხვავებული სიმბოლოა დახატული. სურათზე ჩვენ ვხედავთ ამ კუბს ორი სხვადასხვა მხრიდან. რომელი სიმბოლო არის ■-ის პირდაპირ?



- A) O B) ♦ C) ♥ D) ♠ E) ♣

24. 1, 5, 8, 9, 10, 12, და 15 რიცხვები დალაგებულია ჯგუფებად. თითოეულ ჯგუფში არის ერთი ან რამდენიმე რიცხვი: ყოველ ჯგუფში შემავალი რიცხვების ჯამი ერთიდაიგივეა. ყველაზე მეტი რამდენი ასეთი ჯგუფი შეიძლება იყოს?

- A) 2 B) 3 C) 4 D) 5 E) 6